სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

19 / აგვისტო / 2025 წ.

KA080166808947125

№ **2363**

განკარგულება

ტექნიკური ხარვეზით გამოწვეული ადმინისტრაციული წარმოების ვადის აღდგენის შესახებ

2025 წლის 18 აგვისტოს, გარკვეული დროით, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემასა (www.procurement.gov.ge) და დოკუმენტბრუნვის ელექტრონული მართვის სისტემაში დაფიქსირებული ტექნიკური ხარვეზების გამო, შეუძლებელი გახდა ამავე სისტემებით სარგებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 94-ე მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 აპრილის № 306 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულებისა და სტრუქტურის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. აღდგენილ იქნეს:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, ანგარიშგების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის ვადა;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ePLAN მოდულში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ვადა;

გ) გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნების/შეთანხმების SMP მოდულში ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა;

დ) შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვასთან დაკავშირებით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადა.

2. წინამდებარე განკარგულება გამოქვეყნდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე www.procurement.gov.ge. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია ეცნობოთ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულ მომხმარებლებს სისტემური შეტყობინების მეშვეობით.

3. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.